ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №183/01-01, 01.10.2015წ.

დანართი №1

2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ვენეციის კა ფოსკარის უნივერსიტეტის (იტალია) მიერ თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერასმუს+ის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი სტიპენდიების კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატთა შეჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი
კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის ვენეციის კა ფოსკარის უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი სტიპენდიების კანდიდატთა შერჩევა 2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის.

2. კანდიდატი და სტიპენდიატი
კანდიდატები შეირჩევიან სტუდენტებს/პერსონალს შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე. სტიპენდიატებს შეარჩევს ვენეციის კა ფოსკარის უნივერსიტეტი თსუ-ს შესარჩევი კომისიის მიერ მიწოდებული შეფასების საფუძველზე.

3. კანდიდატების შერჩევა
კანდიდატების შერჩევა ხორციელდება თსუ-ს საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით
სტუდენტები:

1. აკადემიური მოსწრება
2. მოტივაცია
3. სტუდენტის სასწავლო გეგმის რელევანტობა/შესაბამისობა მობილობის პირობებთან
4.
5. ენის ცოდნის დონე

აკადემიური პერსონალი:

1. მობილობის შედეგი
2. სამუშაო გეგმა
3. მობილობის წინა გამოცდილება
4. მოტივაცია

4. კომისიის შეფასება

ა) კანდიდატის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე	10 ქულა
ძალიან კარგი	9 ქულა
კარგი	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი	7 ქულა
საკმარისი	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი	5 ქულა და ნაკლები

ბ) თუ კანდიდატის მოტივაციის წერილი ან ზეპირი პრეზენტაცია შეფასებულ იქნება არადამაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.

5. სტიპენდიატების გამოვლენა

სტიპენდიატების გამოვლენა ხდება თსუ-ს შესარჩევი კომისიის შეფასებისა და ვენეციის კა ფოსკარის უნივერსიტეტის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე.